



საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, მ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 2

25 იანვარი 2019 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ე.გ“ ქვეპუნქტისა, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს** :

მუხლი 1.

დადგინდეს სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (დანართი №1).

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქ. სენაკის ტერიტორიის ზონირება (დანართი №2).

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის №11 დადგენილება.

მუხლი 4.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბადრი კალანდარიშვილი

სენაკის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი

მუხლი 1.

სენაკის მუნიციპალიტეტის (შემდეგში – მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე სახელმწიფო და სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდეგში-მიწის ნორმატიული ფასი) 1 (ერთი) კვადრატული მეტრი მიწის ფართობისათვის გამოიანგარიშება შემდეგი x ფორმულით: $C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$, სადაც:

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის ქ. სენაკის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,58-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის:

გ.ა) ცენტრალური ზონისათვის – 1,3-ს;

გ.ბ) შუალედური ზონისათვის – 1-ს;

გ.გ) პერიფერიული ზონისათვის – 0,7-ს;

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა ყველა ზონაში უდრის 120-ს.

მუხლი 2.

ამ დადგენილების დანართი №1-ის პირველი პუნქტის მიხედვით ქ. სენაკში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
ცენტრალური ზონა				
0,58	1,3	0,24	120	21,72
შუალედური ზონა				
0,58	1	0,24	120	16,70
პერიფერიული ზონა				
0,58	0,7	0,24	120	11,70

მუხლი 3.

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. სენაკის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 5,01 ლარს.

მუხლი 4.

სენაკის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. სენაკის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,18 ლარს.

მუხლი 5.

სენაკის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალ „საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდა-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. სენაკის მუნიციპალიტეტის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 8,35 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება დადგენილების დანართი №1-ს მე-3 და მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.“.

დანართი №2

ქ. სენაკის ზონების აღწერა
ცენტრალური ზონა
<ol style="list-style-type: none"> 1. მშვიდობის ქუჩა №156-197-დანბოლომდე; 2. მიშა ღვინჯილიას ქუჩა; 3. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (აკაკი ხორავას ქუჩიდან დავითაღმაშენებლის ქუჩამდე); 4. შოთა რუსთაველის ქუჩა (აკაკიხორავას ქუჩი დან ბოლომდე); 5. ცოტნე დადიანის ქუჩა; 6. ნოე შონიას ქუჩა (აკაკი ხორავას ქუჩიდან ბოლომდე); 7. დავით აღმაშენებლის ქუჩა დასაწყისიდან ზვიად გამსახურდიას ქუჩამდე I შესახვევით; 8. ვახტანგ გორგასლის ქუჩა დასაწყისიდან დავით აღმაშენებლის ქუჩამდე; 9. ბათუმის ქუჩა; 10. ალექსანდრე პუშკინის ქუჩა; 11. ეგნატე ნინოშვილის ქუჩა; 12. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა დასაწყისიდან ზვიად გამსახურდიას ქუჩამდე; 13. არჩილ ჯორჯაძის ქუჩა; 14. დავით ვაჰანიას ქუჩა დასაწყისიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე; 15. აკაკი წერეთლის ქუჩა; 16. მიხეილ ქურდოვანიძის ქუჩა დასაწყისიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე; 17. ახალგაზრდობის ხეივანი; 18. ვახტანგ გოგოლაძის სახელობის მოედანი; 19. წმინდა ნინოს ქუჩა; 20. მერაბ კოსტავას ქუჩა (ცოტნე დადიანის ქუჩიდან მშვიდობის ქუჩამდე); 21. თამაზ კანკიას ქუჩა; 22. თავისუფლების ქუჩა; 23. იაკობ გოგებაშვილის ქუჩა ილია ჭავჭავაძის ქუჩიდან შოთა რუსთაველის ქუჩამდე; 24. შოთა რუსთაველის ქუჩის I და II ჩიხი; 25. შოთა ჩიქობავას ქუჩა; 26. ნესტორ ესებუას ქუჩა; 27. სოსო გეგელიას ქუჩა; 28. აკაკი ხორავას ქუჩა; 29. აპალონ გუნიას ქუჩა.
შუალედური ზონა
<ol style="list-style-type: none"> 1. შოთა რუსთაველის ქუჩა დასაწყისიდან აკაკი ხორავას ქუჩამდე; 2. ზურაბ ნაფეტვარიძის ქუჩა; 3. ნიზან ცერცვაძის ქუჩა შესახვევით; 4. გივი კარტოზიას ქუჩა; 5. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა;

6. ნიკო ფიროსმანის ქუჩა;
7. აბესალომ საჯიას ქუჩა;
8. ალექსანდრე დავითაიას ქუჩა;
9. დუტუ მეგრელის ქუჩა;
10. სამეგრელოს ქუჩა;
11. კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა;
12. გიორგი ურიდიას ქუჩა;
13. ომიანე კაჭარავას ქუჩა;
14. ფოთის ქუჩა;
15. ვახტანგ მეფის ქუჩა;
16. უნივერსიტეტის ქუჩა;
17. რაკვერეს ქუჩა;
18. დავით ჭონქაძის ქუჩა;
19. დამიანე ჯიჯელავას ქუჩა;
20. ნიკო კეცხოველის ქუჩა;
21. კონსტანტინე სანაიას ქუჩა;
22. მერაბ კოსტავას ქუჩა მშვიდობის ქუჩიდან ბოლომდე;
23. გა ნადარეიშვილის ქუჩა;
24. გიორგი ლეონიძის ქუჩა;
25. რომან რუსია სქუჩა;
26. დედის ქუჩა;
27. მოსე ნაროუშვილის ქუჩა;
28. სამტრედიის ქუჩა;
29. მშვიდობის ქუჩა დასაწყისიდან №156-მდე (შესახვევებით);
30. ალექსანდრე არჩაიას ქუჩა;
31. იგორ ნარმანიას ქუჩა;
32. ანტონ ნადარეიშვილის ქუჩა;
33. შავი ზღვის ქუჩა (შესახვევებით);
34. ილია ჭავჭავაძის ქუჩა დავით აღმაშენებლის ქუჩიდან ბოლომდე;
35. ილია ჭავჭავაძის ქუჩა გიორგი ჭყონდიდელის ქუჩიდან აკაკი ხორავას ქუჩამდე;
36. ტეხურის ქუჩა;
37. ვახტანგ გორგასლის ქუჩა დავით აღმაშენებლის ქუჩის ბოლომდე;
38. გიორგი ბრწყინვალის ქუჩა;
39. არქეოპოლისის ქუჩა;
40. სოლომონ შამათავას ქუჩა (შესახვევით);
41. აკაკი ელიავას ქუჩა (შესახვევით);
42. სიმონ ჩიქოვანის ქუჩა;
43. ალექსი ბერის ქუჩა;
44. მედეას ქუჩა;
45. მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა;
46. ნოკო ხურციას ქუჩა;
47. სულხან-საბას ქუჩა;
48. არსენას ქუჩა;
49. დავით ლოლუას ქუჩა ჩიხით;
50. დავით კლდიაშვილის ქუჩა;
51. თეოფანე დავითაიას ქუჩა;
52. აპოლონ გარუჩავას ქუჩა;

53. მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა (შესახვევით);
54. ზუგდიდის ქუჩა (შესახვევით);
55. დავით აღმაშენებლის ქუჩა ჩიხებით ზვიად გამსახურდიას ქუჩიდან ბოლომდე;
56. ზვიად გამსახურდიას ქუჩა;
57. ლევან II დადიანის ქუჩა (შესახვევით);
58. სანკტ-პეტერბურგის ქუჩა;
59. თბილისის ქუჩა ჩიხებით;
60. ვაჟა-ფშაველას ქუჩა;
61. ბაგრატიონის ქუჩა;
62. ნოე ცხვიტავას ქუჩა;
63. ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა;
64. ძმები კანკავების ქუჩა;
65. კალისტრატე გრიგოლიას ქუჩა;
66. ჟიული შარტავას ქუჩა;
67. დომენტი ქობალავას ქუჩა;
68. ქუთაისის ქუჩა ჩიხებით;
69. ლევან თეფანიას ქუჩა ჩიხით;
70. ვარლამ განგიას ქუჩა;
71. ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა;
72. დავით ვაჰანიას ქუჩა ცოტნე დადიანის ქუჩიდან ბოლომდე;
73. მიხეილ ქურდოვანიძის ქუჩა ცოტნე დადიანის ქუჩიდან ბოლომდე;
74. მერაბ კოსტავას ქუჩა დასაწყისიდან ცოტნე დადიანის ქუჩიდან ბოლომდე;
75. სოხუმის ქუჩა;
76. კონსტანტინე ლესელიძის ქუჩა;
77. ვენე არჩაიას ქუჩა ჩიხებით;
78. გუბაზ მეფის ქუჩა ჩიხით;
79. ანა კალანდაძის ქუჩა;
80. 26 მაისის ქუჩა;
81. ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა;
82. ბორჯომის ქუჩა ჩიხებით;
83. სენაკის ქუჩა;
84. იაკობ გოგებაშვილის ქუჩა შოთა რუსთაველის ქუჩიდან ბოლომდე;
85. სურამის ქუჩა;
86. დავით გურამიშვილის ქუჩა;
87. ალექსანდრე წურწუმის ქუჩა;
88. აქვსენტი ცაგარელის ქუჩა;
89. აგარაკის ქუჩა;
90. ალექო შენგელიას ქუჩა;
91. ლეო ქიაჩელის ქუჩა;
92. ტიციან ტაბიძის ქუჩა;
93. აკაკი ხორავას ჩიხი;
94. გოჩა კაშიბაძის ქუჩა;
95. სერგო შენგელიას ქუჩა;
96. ვლადიმერ დემურიას ქუჩა;
97. ეკატერინე გაბაშვილის ქუჩა;
98. კოტე მარჯანიშვილის ქუჩა;
99. შალვა დადიანის ქუჩა;

100. ინდიკო სანაიას ქუჩა;
101. გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა;
102. კოლხეთის ქუჩის დასავლეთი ნაწილი;
103. ლადო ასათიანის ქუჩა;
104. დავით დემურიას ქუჩა (ჩიხით);
105. ხოფერიას ქუჩა;
106. დემეტრე თავდადებულის ქუჩა;
107. შალვა ნუცუბიძის ქუჩა;
108. ნოდარ კანკიას ქუჩა (ჩიხით და შესახვევით);
109. გენო ადამიას ქუჩა;
110. სიმონ კალანდარაშვილის ქუჩა;
111. არნოლდ ჩიქობავას ქუჩა;
112. ვალერიან ჯანაშიას ქუჩა;
113. მელიორ სტურუას ქუჩა ჩიხით;
114. შალვა ელიავას ქუჩა;
115. იპოლიტე ჩხეტიას ქუჩა ჩიხებით;
116. ჭიჭიკო ბენდელიანის ქუჩა;
117. გორის ჩიხი;
118. შეროზიას ქუჩა;
119. რეზო თაბუკაშვილის ქუჩა;
120. ნიკო ნიკოლაძის ქუჩა;
121. ლომიას ქუჩა;
122. რუსთავის ქუჩა;
123. გივი ღვინჯილიას ქუჩა;
124. ნატო ვაჩნაძის ქუჩა;
125. ივანე მაჩაბლის ქუჩა დასაწყისიდან გივი ღვინჯილიას ქუჩამდე;
126. დავით აღმაშენებლის ქუჩის I შესახვევი;
127. ნოე შონიას ქუჩა აკაკი ხორავას ქუჩამდე.

პერიფერიული ზონა

1. კოლხეთის ქუჩის აღმოსავლეთი ნაწილი შესახვევით;
2. სტალინის ქუჩა ჩიხებით;
3. ანტონ ფურცელაძის ქუჩა ჩიხებით;
4. პიერ კობახიძის ქუჩა;
5. ქუჯის ქუჩა;
6. ვახტანგ კალანდარაშვილის ქუჩა;
7. მთის კალთის ქუჩა;
8. შხეფის ქუჩა;
9. ჯიხას ქუჩა ჩიხით;
10. აკაკი ბელიაშვილის ქუჩა ჩიხებით;
11. თამარის ქუჩა;
12. თედო სახოკიას ქუჩა შესახვევით და ჩიხებით;
13. ილია ჭავჭავაძის ქუჩა დასაწყისიდან გიორგი ჭყონდიდელის ქუჩამდე;
14. ძმობის ქუჩა;
15. რემა შელეგიას ქუჩა;
16. ივანე მაჩაბლის ქუჩის მეორე შესახვევი ბოლომდე;
17. იგორ ნარმანიას ქუჩის გადაკვეთიდან სიმონ ჯანაშიას ქუჩის გადაკვეთამდე;
18. სიმონ ჯანაშიას ქუჩა ჩიხებით ბოლომდე.